ხაშურის მოამბე

№19 (50) 17 მაისი, სამშაბათი, 2016 წელი

„ქართული ოცნების“ ყველა ნაბიჯი სამშობლოს სიძლიერეს ემსახურება

14 მაისს, თბილისში, მმართველი პარტიის – „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“ ყრილობა გაიმართა. ყრილობაზე პარტიის პოლიტსაბჭოს ცხრა ახალი წევრი აირჩიეს. აქვე ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ გიორგი კვირიკაშვილი დასახელდა, რომლის კანდიდატურას დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

როგორც კვირიკაშვილმა ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, მისთვის მმართველი პარტიის თავმჯდომარეობა დიდი გამოწვევაა.

"მადლობა მინდა ვუთხრა პარტია „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ

საქართველოს" იმ დიდი ნდობისთვის, რომელიც გამომიცხადა. მინდა გითხრათ,რომ ჩემთვის მმართველი პარტიის თავმჯდომარეობა უდიდესი პასუხისმგებლობაა და, პირდაპირ გეტყვით, პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი გამოწვევაც არის. ჩემი კოლეგების,თანამოაზრეებისა და თანაგუნდელების გულწრფელი მხარდაჭერა და ნდობა ასმაგად აძლიერებს ჩემს პასუხისმგებლობას. მე მზად ვარ, ვემსახურო ჩემს სამშობლოს და ყველაფერი გავაკეთო ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის.

ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო იმ პარტიის თავმჯდომარე, რომელიც ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დროს შეიქმნა და გარდამტეხი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფოს განვითარების გზაზე",- განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერმა "ქართული ოცნების" 4 წლის მმართველობაზეც ისაუბრა.

"დღეს, პარტიის დაარსებიდან 4 წლის თავზე, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ,რომ ბევრი პრობლემა გადავჭერით,ბევრი სირთულე დავძლიეთ და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, იმ დაძაბულ ვითარებაში თავიდან ავიცილეთ ანგარიშსწორების საფრთხე,რომლის წინაშეც რეალურად იდგა ჩვენი ქვეყანა. ჩვენი მიზანი არასოდეს ყოფილა ანგარიშსწორება. მიგვაჩნია, რომ შურისძიება გუშინდელი დღეა, რეგრესია, განვითარების შეფერხებაა. მჯერა, გავა დრო და ხალხი ჩვენი გადაწყვეტილების სისწორეში კიდევ უფრო დარწმუნდება. ჩვენი მიზანი მხოლოდ ქვეყნის მშვიდობიანი, თანამიმდევრული განვითარება და ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობაა. ის, რომ ჩვენ შევძელით აგვერიდებინა ქვეყნისათვის მთავარი საფრთხე, ჩვენი გუნდის ლიდერების პოლიტიკური ნება და თითოეული თქვენგანის დამსახურებაა.იყო თუ არა ეს 4 წელი უშეცდომო?! პირდაპირ გეტყვით, რომ - არა. და ეს ბუნებრივიც არის ახალგაზრდა პარტიისთვის. მაგრამ ჩვენ არც ამ შეცდომების აღიარება და არც რეალობისათვის თვალის გასწორება გაგვჭირვებია. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ ისეთი შეცდომა ნამდვილად არ დაგვიშვია, რომელიც ზიანს მოუტანდა ქვეყანას",- განაცხადა პრემიერმა.

კვირიკაშვილის განცხადებით, მათ უნდა დაანახონ ყველას, რომ აერთიანებთ მკვეთრად გამოხატული მისწრაფებები და აქვთ ერთიანი პოლიტიკური ხედვა როგორც საშინაო, ისე საგარეო მიმართულებით.

"ჩვენი პარტიის საგარეო-პოლიტიკური ვექტორი სრულად ემთხვევა ქართველი ხალხის ისტორიულ ნებას, იყოს ევროპის ნაწილი და ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი. ეს ჩვენი მსოფლმხედველობრივი ერთობაა ევროპასთან, ეს არის ჩვენი სწრაფვა თავისუფლებისკენ, უსაფრთხოებისკენ, მეტი შესაძლებლობებისკენ, თითოეული ჩვენი მოქალაქის უკეთესი ცხოვრებისკენ. სწორედ ამიტომ გვაქვს გეზი აღებული ევროკავშირისა და ნატო-სკენ და ამ გეზს არ გადავუხვევთ",- აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილი სიტყვით გამოსვლისას საქართველო- რუსეთის ურთიერთობასაც შეეხო.

"საქართველოსთვის მნიშვნელოვანია მეზობელ სახელმწიფოებთან, რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობა. ჩვენ ვცდილობთ ჩიხიდან გამოვიყვანოთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები და ვდგამთ ნაბიჯებს,რომ აღვადგინოთ სავაჭრო, სატრანსპორტო და ჰუმანიტარული ურთიერთობები. მაგრამ კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს - ურთიერთობის ნორმალიზაცია ვერ მოხდება საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული

მთლიანობის ხარჯზე. ეს არის ის, რაც არაფერში არ გაიცვლება",- აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

„აღსდგა“ თუ „ადდგა“?

ბოლო დღეებია დიდი პოლემიკაა ატეხილი აღდგომის დღესასწაულზე თუ როგორ უნდა მიულოცონ (გნებავთ,მიმართონ) ქრისტიანებმა ერთმანეთს. ზოგადად, ასეთი „აჟიოტაჟი“ ყველა აღდგომას ახლავს. ჩვენმა გაზეთმაც ტრადიციულად მიულოცა მკითხველს ეს ბრწყინვალე დღესასწაული და პირველ გვერდზეც მსხვილი შრიფტით გამოვიტანეთ მილოცვა „ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!“ მავანმა და მავანმა ეს გრამატიკულ ლაფსუსად ჩაგვითვალა და დაგვირეკეს კიდეც, რომ სწორი ფორმაა „აღდგა“. თავს ნებას ვაძლევთ, მცირე განმარტება შემოგთავაზოთ და დაგარწმუნოთ პირველი „ფორმულირების“ სისწორეში.

„აღდგა“ ერთპირიანი და მესამე სუბიექტური პირის ზმნაა. ცხადზე ცხადია, რომ მესამე ირიბი ობიექტის ნიშანი „ს“ მასთან არ უნდა იყოს,რადგან მას ირიბი ობიექტი საერთოდ არ ეწყობა. მაგრამ აქ სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, თვითონ ქრისტეს აღდგომა სასწაულებრივ მოვლენას გულისხმობს – ყველანაირი მოვლენისა თუ ფაქტისგან სრულიად განსხვავებულს, ამიტომ ვითომ რატომ არ უნდა გამოირჩეს დანარჩენი „აღდგომისა“ თუ „ადგომისაგან?“

სულ უბრალო მაგალითის მოყვანაც საკმარისია, რომ დაგარწმუნოთ ამის ჭეშმარიტებაში. ვთქვათ, რაღაც ხუხულა იდგა, ქარმა დაანგრია და შემდეგ მეპატრონემ აღადგინა (შემინდე,უფალო,თუ უხერხულ შედარებას ვაკეთებ). გასაგებია, რომ ხუხულა აღდგა. ამ კონტექსტის შემდეგ შეიძლება იმ სასწაულ მოვლენაზეც იგივე სიზუსტით ვისარგებლოთ ფონემების რიგითობით და ვთქვათ ქრისტე აღდგა? არამც და არამც! მეტიც,მკრეხელობაც კი მგონია ასეთი გამოთქმა. დიახ, გრამატიკული კატეგორიები შორს უნდა დავიჭიროთ ამ მოვლენის „აღსაწერად“, რადგან, ამ შემთხვევაში, მთავარი გრამატიკულად მისაღები კი არა, გულისთვის და სულისთვის მისაღები ფორმა უნდა ავახმიანოთ – აღსდგა.

მე არ მინდა, მკითხველს თავი შევაწყინო ლინგვისტური წიაღსვლებით და ძალიან მოკლედ ვიტყვი; ლინგვისტიკაში არსებობს ცნება უზუსი, რაც, ერთგვარად, სალიტერატურო ნორმებთან დაპირისპირებას გულისხმობს. სულ უბრალო მაგალითი: ოფიციალური წერილისას, თუ პიროვნებას მივმართავთ და წერილს ამ მიმართვით ვიწყებთ (მაგალითად, ბატონო გიორგი), გრამატიკულად აუცილებელია მიმართვის ბოლოს ძახილის ნიშნის დასმა, მაგრამ დიპლომატიაში, თუ ისეც, ამ ძახილის ნიშანს არავინ ხმარობს, მის ნაცვლად გამოიყენება სასვენი ნიშანი მძიმე (რაც, რა თქმა უნდა, გრამატიკული კაზუსია). ეს იმიტომ, რომ ძახილის ნიშანი, ერთვარად, ბრძანების ფორმას ძენს ამ მიმართვას, მძიმე კი არბილებს მას და მასში პატივისცემა უფრო იკითხება.

ესეც არ იყოს,„ს“-ს შემოტანით (ანუ ირიბი ობიექტი „გამოჩენით“) ჩვენ უფრო სამპირიანობის განცდას ვეუფლებით, ანუ შემოგვაქვს სამი ჰიპოსტასი წმინდა სამების სახით.

დიახ, თამამად ვთქვათ „აღსდგა“, რადგან ამ ზმნაში მოკრძალებაც, რიდიც და მოწიწებაც უფრო ნათლად ჩანს უფლისადმი.

ასე, რომ ქრისტე არსდგა, მეგობრებო!

გოგი გოგოლაძე

ამდენი ყვავილი ახასოდეს დაიბეცა ჩვენს ქალაქში

გაზაფხული თავისი საწყისით, განახლებასთან, ფერების შემოტანასთან ასოცირდება. მითუმეტეს, როდესაც საქმე შენი ქალაქის იერ-სახის გალამაზებას, ესთეტიკური მხარის მოწესრიგებას ეხება. სამუშაოები, რომელსაც ა(ა)იპ “სავანეს” გამწვანების განყოფილება ასრულებს, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ირგვება ხეები, ყვავილები(ტაგეტასის, სალვიას,ბეგონიას ჯიშის ყვავილები, როგორც შემოტანილი, ასევე ადგილობრივ სათბურში გამოყვანილი), იღებება ფასადები. ყოველდღიური თვალი და ხელია საჭირო უკვე დარგულის, გახარებულის მოვლისთვის. ხაშურის სხვადასხვა უბანში, მათ შორის ცენტრალურ სკვერში განხორციელდა სამღებრო სამუშაოები, მოითიბა ბალახი, გაკეთდა მწვანე მოლებისა და ყვავილების სარწყავი სისტემები.. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა შადრევანს, რომელიც დიდ სიხარულს გვრის ბავშვებს. სამუშაოები გრძელდება, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება სეზონურად.

ხოსიეღება ინფრასტრუქტური პროექტები

გზების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება დღემდე დიდ გამოწვევად რჩება საქართველოს ნებისმიერი მუნიციპალიტეტისათვის. ათეულობით წლის წინ დანგრეული გზების საფარი, მრავალ პრობლემას უქმნის მოსახლეობას. აღსანიშნავია,ისიც,რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ყველაზე დიდი ნაწილი ამ პრობლების მოგვარებაზე იხარჯება, თუმცა პრობლემის ერთი ხელის მოსმით გადაჭრა, შეუძლებელია. ზამთარში გაჩერებული სამუშაოები გაზაფხულიდან განახლდა. პარალელურ რეჟიმში დაწყებულია რამდენიმე ქუჩის მოასფალტება, მოხრეშვა და სხვადასხვა საჭიროების სამუშაოები. ამჟამად, დაბა სურამში, 9 აპრილის ქუჩის მოასფალტება და კეთილმოწყობა მიმდინარეობს. რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, შპს “გეკა” ახორციელებს. სამუშაოები სულ ჩქარა დასრულდება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გასულ წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის და საკრებულოს თანამშრომლებმა უარი თქვეს სახელფასო დანამატზე, რის შედეგადაც ასფალტი დაიგო სვანიძის ქუჩაზე. მსგავსი ქმედებები და ხელისუფლების კეთილი ნება, იძლევა იმედს, რომ ქალაქის ინფრასტრუქტურა სასურველ დონეს მიაღწევს.

სპეციალისტი გვირჩევს

ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის გავლენა საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობაზე

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საკონსულტაციო სამსახურის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის სასოფლო სამეურნეო სავარგულების მორიგი მონიტორინგის დროს,გამოვლინდა საშემოდგომო ხორბლის დაავადება სეპტორიოზის ერთ-ერთი ფორმა ხორბლის ყვითელი სილაქავე. განსაკუთრებით აღინიშნებოდა ცხრამუხისა და გომის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

მარტი-აპრილის თვეში ფართო ტემპერატურულმა ინტერვალმა (3-180) განსაკუთრებით აპრილის თვეში ხანგრძლივმა ნოტიო პერიოდი (5-80) ნამისა და წვიმის თანმიმდევრულმა მონაცვლეობამ გამოიწვია დაავადების განვითარებისათვის დამახასიათებელი პირობები.

სიმპტომები: როგორც აღმონაცენის,ისე მოზრდილი მცენარის ფოთლების ორივე მხარეზე ღია მოყვითალო-ყავისფერი პატარა ზომის ლაქები ჩნდება,რომელიც შემდგომ იზრდება და ხმება.

დაავადებული ფოთლების ნაადრევი ხმობის გამო მარცვლები შემჭკნარია და წონაც ნაკლებია. მოსავლის დანაკარგები და წონაც ნაკლებია. მოსავლის დანაკარგები 40-50% დაავადება მნიშვნელოვანი ზარალის მომცემია.

ბრძოლის ღონისძიებები: პირველივეელაქების შემჩნევისთანავე, განსაკუთრებით ქვედა ფოთლებზე, აუცილებელია დამუშავება შემდეგი ფუნგიციდებით,

მაგალითად: „ალტოსუპერის”, „ტილტის”, „რექს-დუოს” გამოყენება.

როინ კურტანიძე

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

— ჩვენი უხუცესები —

104 წლის ნინა ბებო: მშვიდ ქვეყანაში გეცხოვროთ, შვილებო!..

ნინა ბებო 104 წლისაა, ჩვენს მუნიციპალიტეტში ყველაზე ხანდაზმული ქალბატონია, ზემო აძვისში ცხოვრობს. იმ დროს ვესტუმრე, როცა შრომაში გამოწრთობილი საქონლისათვის ბალახს აგროვებდა ბაღში. გავეცანი, ჩვენი გოგო ყოფილაო, ბალახით სავსე კალათს ხელი მოკიდა და ეზოში შემოიტანა. სახლში მიმიპატიჟა, ჩემი, როგორც ჟურნალისტის დაინტერესება და სტუმრობა არ გაჰკვირვებია, მიჩვეულია, ხან მუნიციპალიტეტის თანამშრომლები სტუმრობენ, ხან ტელევიზიები. ჩვენ საუკუნეში, როდესაც სიკვდილმა გაახალგაზრდავება დაიწყო და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70-75 წელია, ნინა ბებო სიცოცხლის ზეიმია 2 საუკუნეზე. ბევრი ტკივილი უნახავს, ბევრიც უტირია. ადრეულ ბავშვობაში დედადაკარგულ, გათხოვების შემდეგ ქმარდაკარგულ, შვილდაკარგულ ქალს, ახლა რომ კანკალით ჩასჭიდებია ჯოხს, საკუთარი ხელებით მოუტანია 104 წელი, გაძლიერებულა, როგორც ქართველმა დედებმა, ქალებმა იციან ჭირის დროს. -კერა არ გავაცივე, გვარი შევუნახე შვილებს და ნამუსიც შევინახეო-ამაყობს, რომ მარტოდარჩენილის ტრაგედია არ აჩვენა "კეთილისმსურველთ". ისევ დგას და იბრძვის, ისევ ეზოს და სახლს დასტრიალებს, ცალი თვალი კარისკენ აქვს, ელის თბილისიდან შვილიშვილებს მოლოდინადქცეული ბებია. დღეს თავის 80 წლის შვილთან ერთად ცხოვრობს, მათი სახლიდან ტყის ფერდობი ჩანს თავისი გაზაფხულით და საოცრებებით-სიცოცხლის, ჯანმრთელობის ელექსირს რომ ამზადებს კაცობრიობისთვის, ის ადგილია. ნინა ბებოს წუწუნი არ უყვარს, არც ბედზე და ადამიანებზეა გამწყრალი. ან როგორ დაემდუროს, 104 წელი აჩუქა უფალმა-ძველებურად აღარ შემიძლიაო, ეს კი თქვა-საყვედური არ იყო, მდგომარეობა აღნიშნა, გადაადგილების სურვილს რომ უზღუდავს. საუბარს შევყევით, გაჩერდებოდა, შვილს გახედავდა და იტყოდა: არაფერი შევთავაზოთ ამ გოგოსო? სტუმარს ჩვეული მთიელი ქალი, ხოჯაშვილების გვარის, არ კარგავს სტუმრის სიყვარულს და გამასპინძლების სურვილს.

- ნინა ბებო, თქვენი ცხოვრების შესახებ მიამბეთ, სად დაიბადეთ?

–1912 წელს დავიბადე თიანეთის რაიონ სოფელ ერწოში. დედა ადრე გარდამეცვალა, 1 წლის დავრჩი. მამამ მეორე ცოლი მოიყვანა, რამდენიმე ხნის შემდეგ ისიც გარდაიცვალა და მამიდამ წამიყვანა გასაზრდელად. მამა მოგვიანებით ისევ დაქორწინდა. მათ ჩემს გარდა შვილი არ ჰყოლიათ. მამის გარდაცვალების შემდეგ, დედინაცვალი გათხოვდა და თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად.

- თქვენი მეუღლე როგორ გაიცანით?

–ჩემი მეუღლე სამუშაოდ იყო წამოსული თბილისში, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა მამიდასთან. მშრომელი კაცი იყო, კარგი შესახედაობის. გაგვირიგეს ერთმანეთს. 1934 წელს დავქორწინდით და აქ წამოვედით საცხოვრებლად. პატარები ვიყავით, ყველაფერი თავიდან დავიწყეთ. პატარა მიწა გვქონდა, ხის სახლი ავაშენეთ და შევუდექით შრომას. 3 შვილი გავაჩინე, ერთი შვილი დამეღუპა პატარა. ჩემი მეუღლე და მისი ძმა სამამულო ომში გაიწვიეს და უკან აღარ დაბრუნებიან ოჯახს. ორი შვილის დამკარგავი, ჩემი დედამთილი რამდენიმე თვეში გარდაიცვალა დარდისაგან, მეორე იმედიც გამომეცალა. ორი მცირეწლოვანი შვილი დამრჩა გასაზრდელი, როგორც შემეძლო, ქვრივ ქალს, ისე მივხედე, ისე ვასწავლე. ორივეს ინსტიტუტი დავამთავრებინე.

- არ გაგიჭირდათ, მარტო დარჩენილს, ოჯახის გაძღოლა?

–სკოლაში სულ ხუთი წელი დავდიოდი, არც ჩემს მეუღლეს ჰქონია განათლება. რომ გავთხოვდი, არც თონეში პურის ცხობა ვიცოდი, არც მჭადის ცხობა და ოჯახის სხვა საქმე. მარტო რომ დავრჩი, ყველაფრის კეთება ვისწავლე. კოლმეურნეობაში ვმუშაობდი. ბარი და თოხი მეჭირა ხელში, 40 წელი ვიმუშავე. მაშინ ყველა ერთნაირად ცხოვრობდა. თუ არ დაიზარებდი, საჭმელი არ გამოელეოდა ოჯახს. ქმარმკვდარი ცოლები, ბევრი წავიდა ოჯახიდან, მე გვარი, ფუძე შევუნახე და გადავურჩინე ოჯახს და ჩემი ნამუსიც შევინახე.

- თქვენი დილა როგორ იწყება, რას საქმიანობთ დღის განმავლობაში?

–ოჯახში საქმეს რა გამოლევს, არ მეზარება არაფერი, იქ საჭმელია გასაკეთებელი, ვალაგებ, ვაცხობ, ნახირია, წვრილფეხი-ყველაფერს ვუვლი. თუმცა, ძველებურად ენერგიული ვეღარ ვარ, სახსრები მაწუხებს. დილით ჩიტივით წამოვფრინდებოდი ხოლმე, ახლა მიჭირს.

- რას უჩივით, რამე გაწუხებთ?

–სახსრები მტკივა, გადაადგილება მიჭირს. უძილობა მაქვს ხანდახან, არ მძინავს. ერთი იმდენი კარგი ამინდი იყოს, რაღაც გავაკეთო, ვიმუშაო, ჩემ შვილს დავეხმარო. როგორც არ უნდა მოვუფრთხილდე თავს, ღმერთს რაც უნდა, ის მოხდება მაინც. მე ღმერთს ვუყვარვარ, რადგან ამდენი წელი გამოიმეტა ჩემთვის.

- მე რომ გესტუმრეთ, რას საქმიანობდით?

–გაზაფხული მიყვარს, მოუთმენლად ველოდები ხოლმე, რომ გავიდე და რაღაც გავაკეთო. მშრომელი ადამიანისთვის უსაქმურობა ყველაზე დიდი წუხილია. რომ მოხვედი, ხბოს ბალახს ვუგროვებდი. ამ ხნის ქალი ვარ, ამდენი ბალახი არ მახსოვს, სავსეა ეზო. კალათში ვაგროვებ და მომაქვს ხბოსთან. თუ ვერ მოვერევი, გამომეშველებიან ხოლმე, მეხმარებიან.

- სახელმწიფოს მხრიდან ყურადღება თუ გაქვთ?

–მე, ბებო, "ნიკოლოზის ომი" მახსოვს, პატარა ვიყავი მაშინ, მერე სამამულო ომი და ყველა მტკივნეული პერიოდი ჩვენი ქვეყნისთვის, გამოვლილი მაქვს. შრომა მიწევდა მაშინაც და ახლაც ვშრომობ. მაგრამ მაინც სასიამოვნოა, რომ ახსოვხარ, ამაგს რომ არ გივიწყებენ. სააკაშვილის მთავრობის დროს მივიღე 150 ლარი, 2012 წელს 250 ლარი, მომდევნო წებში 500-500 ლარი ერთჯერადი დახმარების სახით. გასულ წელს 1000 ლარი. მთავარი მაინც ყურადღებაა, მადლობელი ვარ ამისთვის.

- ახლა რა სურვილები გაქვთ, რამეზე ოცნებობთ?

–თავწარგულმა შრომაში გავატარე ჩემი ცხოვრება, ჩემი სურვილი ჩემი შვილების, სხვისი შვილების კარგად ყოფნაა. ძალიან მიხარია ბავშვებს რომ ვუყურებ. დავჯდები და შორიდან ვათვალიერებ ხოლმე. ძალიან მინდა, მშვიდ ქვეყანაში იცხოვრონ. სულ გზას გავყურებ ჩემი შვილიშვილების მოლოდინში, თუ რაღაც მაწუხებს, როცა მათ ვხედავ, აღარაფერი მტკივა.

დამლოცა, ბევრი წელი მისურვა-ასე ილოცება, მომავალს ლოცავს. წამოვედი და უკან მომყვებოდა ნინა ბებოს ხმა, როგორ უპატივცემულოდ ვუშვებთ ბავშვსო-არადა, სახლში მელოდნენ, თორემ რამდენი ექნებოდა კიდევ მოსაყოლი. და რადგან სურვილებს მაშინ აქვს ძალა, როდესაც ორმხრივია, ჩვენც გლოცავთ ნინა ბებო, ჩვენებრად, როგორც ვიცით და შეგვიძლია ისე-სიცოცხლეს გისურვებთ. ერთი ლექსი გამახსენდა, ავტორს ვერ ვიხსენებ, ჩემი მკითხველი მაპატიებს, ალბათ, რადგან ყველაზე კარგად სიცოცხლის სურვილს ეს ლექსი გამოხატავს:

სიცოცხლე, დიახ, სიცოცხლე მინდა,
სიცოცხლე მინდა, ასი, ათასი,
შორი ალპების წყაროზე წმინდა,
სამხრეთის მზეზე უდიადესი!

დავპირდი, რომ კიდე მივალ, რომ 105 წლის იუბილეს პირველი მივულოცავ.

თ. ჯავახიშვილი

შეხვედრა რძის მწარმოებელ კოოპერატივებთან

ჩვენი გაზეთის თითქმის ყველა ნომერში იმ ახალი ინიციატივების, პროგრამების შესახებ ვწერთ, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ამ დღეებში შედგა სოფლის

მეურნეობის ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მხარდაჭერით, სადაც დაინტერესებულ პირებს, ფერმერებს და კოოპერატივის წევრებს სოფლის მეურნეობის წარმომადგენელმა კოტე ხუციაიძემ, კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ, "რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა" გააცნო. პროგრამის მიზნებია: საქართველოში რძისა და რძის ნაწარმის წარმოების ხელშეწყობა, რძის გადამამუშავებელი ინდუსტრიის ნედლი რძით უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ნედლი რძის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირება, ადგილობრივი რძისა და რძის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში არსებული მსხვილფეხა საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესება, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება. პროგრამა ორ კომპონენტს, კაპიტალურ ინვესტირებას და ტექნიკურ დახმარებას მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან. სახელწიფოს აქვს თავისი ვალდებულებები, რომელიც ხუთწლიანი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, მონიტორინგსაც გულისხმობს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და დიდი დაინტერესება გამოიწვია. ჩვენ მუნიციპალიტეტში სულ რამდენიმე კოოპერატივია, რომელიც მეცხოველეობის დარგს მისდევს და ანვითარებს. გამოითქვა სურვილი, ამ რიცხვის გაზრდის, რასაც სახელმწიფო სრულ ნდობას და მხარდაჭერას უცხადებს. ეს მნიშვნელოვანი პროგრამაა, რომლის ამოქმედების შემთხვევაში, გაიოლდება რძისა და რძის პროდუქტების წარმოება-რეალიზაცია, როგორც ადგილობრივ, ასევე სხვა ქვეყნის ბაზარზე, ამისათვის კი საჭიროა ევროსტანდარტებთან მიახლოება, ხარისხზე ორიენტირება, რათა

ევროპის კონკურენტულ ბაზარზე, ქართულმა პროდუქციამ თავისი ნიშა დაიმკვიდროს, ამის გარანტად კი სახელმწიფო გვევლინება.

ახალგაზრდული საკრებულო ახალგაზრდული იდეებით

– ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან –

გასულ წელს ხაშურის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საკრებულო შეიქმნა, რომლის უმთავრესი მიზანი ახალგაზრდობაში სამოქალაქო დონის ამაღლება იყო და მათი დაინტერესება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში. ამ პროექტმა რაიონის მასშტაბით გამოავლინა უამრავი წარჩინებული და მიზანსწრაფული მოსწავლე, რათა მათი ცოდნა უფრო მეტად გაღრმავებულიყო და გამხდარიყვნენ წარმატებულები. საკუთარ თავებში აღმოეჩინათ და განევითარებინათ ის თვისებები, რაც საჭიროა ლიდერებად ჩამოყალიბებისათვის. აღნიშნულ თემაზე ახალგაზრდული საკრებულოს თავჯდომარეს **თათია კახეთელიძეს** შევხვდით და გავესაუბრეთ.

ის პირველი საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეა, იმყოფებოდა ამერიკაში ,,ფლექსისი"" გაცვლითი პროგრამით და დღეს მზადაა დაგროვილი გამოცდილება და ნოვატორული იდეები თავისი რაიონის ახალგაზრდების საკეთილდღეოდ მომართოს. მისი აზრით, ახალგაზრდული საკრებულო უზრუნველყოფს ახლგაზრდების ჩართულობას ისეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც უშუალოდ ახალგაზრდობას ეხება.

თათია კახეთელიძე: ხაშურში ახალგაზრდული საკრებულო უკვე მეორე წელია რაც ფუნქციონირებს. თბილისში არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად მუშაობს ბავშვებთან და ხელს უწყობს მათი იდეების რეალიზებას. ახალგაზრდული საკრებულოები ქვეყნის თითქმს ყველა მუნიციპალიტეტში მოქმედებს და ნებისმიერი აქტივობა რაც არის საგანმანათლებლო კუთხით,წახალისებულია მათ მიერ.

_ როგორ გახდი ახალგაზრდული საკრებულოს თავჯდომარე?

–სკოლის დირექციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ იქმნებოდა ახალგაზრდული საკრებულო. თავად სკოლის დირექტორიც დაინტერესებული იყო და მაქსიმალურად შეეცადა, მოწინავე და აქტიური მოსწავლეები წარმოეჩინა ამ პროექტისათვის. შესაბამისად, შეგვარჩიეს რამდენიმე წარმომადგენელი, ვისაც რეალურად ჰქონდა, სურვილი და მეტნაკლებად ვიცოდით საკრებულოს მუშაობის პროცესი, ფუნქციები და გვქონდა უნარი, რომ არსებული მოდელი გამოგვეყენებინა ახალგაზრდული საკრებულოს შექმნისათვისაც. დაახლოებით 80-90 ბავშვი ვიყავით, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ თავჯდომარეობისა და დავალებული გვქონდა, წარგვედგინა სამოქმედო გეგმა, მომავალი საქმიანობისა. მეც წარვადგინე გეგმა რომლითაც ვიხელმძღვანელებდი არჩევის შემთხვევაში. ვფიქრობ, უპირატესობა მომცა, ჩემმა გულწრფელმა დამოკიდებულებამ ბავშვების მიმართ, შევპირდი მათ, რომ ჩვენი მუშაობა იქნებოდა არა გართობის დონეზე, არამედ მხოლოდ საუკეთესო შედეგზე ორიენტირებული. დავუსახე მიზნად საგანმანათლებლო პროექტების დაგეგმვა, რაშიც დამეხმარებოდა ჩემი ამერიკული გამოცდილება. „ფლექსის" პროგრამის ფარგლებში, 6 თვით ვიმყოფებოდი ოჰაიოს შტატში, რომელიც განათლების დონით ერთ-ერთი დაწინაურებული შტატია ამერიკაში. შესაბამისად, ბავშვებს სწორედ ეს გამოცდილება შევთავაზე. ჩემი მთავარი ლოზუნგი, ასე ვთქვათ, იყო, გვესწავლა უფრო მეტი და გვესწავლებინა სხვისთვისაც. ასევე, თითოეული ბავშვის იდეა, რამდენადაც არარეალისტური უნდა ყოფილიყო ან რთულად შესასრულებელი, უნდა განხილულიყო უმაღლეს დონეზე, შესაბამისი თეზისებით და ვარაუდებით.

- თათია მოგვიყევი ახალგაზრდული საკრებულოს მუშაობაზე...

– საკრებულოში სულ 50 წვრია, რომლებიც გასაუბრების შედეგად შეირჩნენ. შევქმენით კომიტეტები, რომლებიც თავის მხრივ მუშაობენ შემდეგ თემებზე: გარემოს დაცვა და გამწვანების აქციები, რომლებიც ძალიან პოპულარულია დღესდღეობით, კულტურისა და სპორტის კომიტეტები, სოციალური საკითხები, რომლებშიც ძალიან გვეხმარება გამგეობა, მაგალითად, თუ საქმე ეხება სოციალურად დაუცველი პირების დახმარებას მაქსიმალურად ცდილობენ ჩაგვრთონ.

- როგორც ვიცით, ევროკავშირის გენერალური ანსამბლეის მოდელირებას გეგმავთ?

– დიახ, უახლოეს პერიოდში ვგეგმავთ ევროსაბჭოს გენერალური ანსამბლეის მოდელირებას. საოცარი დაინტერესება იყო ბავშვების მხრიდან ამ საკითხზე, რათა უფრო მეტი გაეგოთ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოციალურ-ეკონომიკური გაერთიანების, ევროკავშირის მუშაობის შესახებ. ორი დღე გვექნება საკომიტეტო სამუშაოები და შემდგომში ჩავატარებთ გენერელური ანსამბლეის იმიტირებას, იქნებიან, ჩვეულებრივად, ქვეყნები საკუთარი წარმომადგენლებით, თავიანთი საკამათო რეზოლუციებით, გაიმართება დებატები და აქტიური მსჯელობა. პირადად გაოცებული ვარ ბავშვების ასეთი დაინტერესებით აღნიშნული პროექტის მიმართ. თითოეული მათგანი შანსს არ უშვებს ხელიდან ახალი გამოცდილებისა და ცოდნის მიღებისა. გვაქვს აქტიური შეხვედრები ერთმანეთთან, წინასწარ უკვე გადმოგზავნილია პოზიციის ფურცლები და ბავშვებმა იციან რომელ განსახილველ თემაზე მოუწევთ დისკუსიების გამართვა. ისინი ნელ-ნელა ეჩვევიან ერთმანეთთან ჯანსაღ კომუნიკაციას, დებატების ხელოვნებას. ამ პროექტზე მუშაობის პროცესში ბავშვებს, პირველ რიგში, მოუხდათ უამრავი ინფორმაციის მოძიება, გააკეთეს კვლევები და სტატისტიკები და ასევე ხშირად უწევდათ ისეთი ინფორმაციის თარგმნა უცხოენოვანი საიტებიდან, რაც ქართულად ხელმისაწვდომი არ იყო. ამასთან ერთად შეიძინეს ზოგადი ცოდნაც. მაგალითად,ასამბლეის მსვლელობის პერიოდში თუ დარბაზიდან ან რომელიმე ქვეყნის დელეგატიდან წამოვიდა შეკითხვა, რომელზეც ბავშვს წინასწარ არ უფიქრია, ის შეეცდება პასუხი ყველანაირად დამაჯერებელი და კომპეტენტური იყოს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, როგორც წესი, ბავშვებს 50 ლარის გადახდა უწევთ ამ პროექტში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ჩვენ 2 თვიანი შრომის შემდეგ, მივაღწიეთ იმას რომ ხაშურში ეს უფასო ყოფილიყო. ამ მოდელირებაზე გვეყოლება ფოტოგრაფი, რომელიც გადაუღებს სურათებს თითოეულ ბავშვს და დღის ბოლის გვექნება ვიდეო და ფოტოდღიურები, რომლის საშუალებითაც ბავშებს ექნებათ შესაძლებლობა საკუთარი მუშაობის პროცესს დეტალურად გაეცნონ.

- რა პროექტები განახორციელა ახალგაზრდულმა საკრებულომ?

– ჩვენ გავაკეთეთ მინისკოლა მენეჯმენტისა და პროექტის წერის. პროექტის წერის დროს ვაყალიბებთ შესასრულებელ გეგმას, საჭიროებებს და ვგეგმავთ ბიუჯეტს და ვადგენთ ჩამონათვალს, რაშიც შეიძლება ფინანსები დაგჭირდეს. კმაყოფილი ვარ, გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვებმა საკმაოდ კარგად ისწავლეს ბიუჯეტის შედგენა. მე, როგორც თავჯდომარეს, უამრავი საპასუხისმგებლო დავალება მაკისრია და მათ შორის ბიუჯეტის დაგეგმვა, მაგრამ ბავშვებმა ისე ადვილად აუღეს ალღო ამ პროცესს, რომ მხოლოდ პროექტის მოვალეობების ჩამოწერა მომიხდა. ამ პროექტის ფარგლებში ბავშვებს ტრენინგები ჩაუტარდათ თემაზე თუ როგორ მოიპოვონ თანხები საკუთარი შესაძლებლობებით, როდესაც არ გყავს დონორი ორგანიზაცია და თანადამფინანსებელი. მაგალითად, ამერიკაში საკმაოდ აპრობირებული ხერხია ბავშვების მიერ ხელნაკეთი ნივთებითა და ნამცხვრების გაყიდვის შედეგად ფულის შეგროვება, ჩვენ ეს შესაძლებლობა არ გამოგვიყენებია, რადგანაც უფრო სერიოზულ პროექტებს შევეჭიდეთ ამ წელიწადში. თუმცა, სანამ ამერიკაში წავიდოდი ჩემი ინიციატივით გავაკეთე კულინარიული ფესტივალი და აღებული ფულით სკოლას შევძინეთ სპორტული ინვენტარი. საინტერესო პროექტი იყო ასევე ჩვენი საკრებულოს მოდელირებაც, რის საშვალებითაც ბავშვებმა უკეთ გაიგეს საკრებულოს მოშაობის შესახებ. გავმართეთ დისკუსია. შევადარეთ ერთმანეთს გამგეობისა და საკრებულოს ფუნქციები.

- რა ფინანსური წყაროებით სარგებლობს ახალგაზრდული საკრებულო?

– როგორც ზემოთ აღვნიშნე,არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც კურირებს ახალგაზრდულ საკრებულოებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, ყოველთვის გვამარაგებს საკანცელარიო ნივთებით. ფინანსური მხარდაჭერა გვაქვს ასევე ადგილობრივი ხელისუფლებიდანაც.

- რა პროექტებს გეგმავთ სამომავლოდ?

– აქტიურად ვთანამშრომლობთ ხაშურის ამერიკულ კუთხესთან და თბილისშიც ამერიკულ საბჭოებთან და გავლილი მაქვს უამრავი საინტერესო ტრენინგი და გვაქვს იდეები რისი გაკეთებასაც ვგეგმავთ მომავალში, ყოველ შემთხვევაში დიდი სურვილი გვაქვს. გვინდა, გავაკეთოთ ბანაკი, სადაც სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს ბავშვებთან გვექნება ურთიერთობა, უკეთ გავიცნობთ მათ. ეს ყველაფერი თანხებთან არის დაკავშირებული და ჩვენც ყველანაირად ვცდილობთ,ჩავერთოდ საგრანტო პროგრამებში და ერთიანი დაფინანსება მოვიპოვოთ.

- უამრავ ახალგაზრდასთან გიწევს ურთიერთობა და როგორი თაობა მოდის?

– გამომდინარე იქიდან, რომ დღეევანდელი გარემო უამრავ შესაძლებლობას სიახლეებთან და ნოვაციებთან წვდომას გვთავაზობს, ახალგაზრდებიც ყველანაირად ცდილობენ, მიიღონ ეს გამოწვევები, ყოველივე ახალი კი ინტერესს უღვიძებს და ვფიქრობ, რომ ერთადერთი, რაც განგვასხვავებს ამ თაობას სხვა თაობებისაგან, სწორედ ეს გამძაფრებული ინტერესია. მაგალითად, ბავშვების სურვილი იმდენად დიდი იყო ამ ანსამბლეაში მონაწილეობისა, რომ ჩვენ, გასაუბრების საშუალებით, მოგვეცა ბავშვების არჩევის შესაძლებლობა.

გასაუბრების დროს, მეტნაკლებად, ადგილი ჰქონდა კომუნიკაციის პრობლემას, ბავშვები ცოტა ჩაკეტილები იყვნენ, მაგრამ აქტიურმა მუშაობის პროცესმა ესეც გამოასწორა.

თ. ახალკაცი

ლექსები ჩესლის ძველი ჯიდოზანიდან

(დიდი ომის ექო)

ბევრი დაეცა, წავიდა, გაჰქრა, ვით დილის ნამი

ღორინამკალის მთის ძირას ერთი სოფელი არის,
ჭაღარას თერხვი უკოცნის, ნატერფალს მღვრიე მტკვარი!
აქ, სადღაც ჭალა-ჭულებში, ჟიუოებში და წყლებში,
გაფრინდა ჩემი ბავშვობის გაუხარელი წლები!
მახსოვს პატარა წისქვილი და სარეკელას ჰიმნი,
მტკვარში ჭანარის ტლაშუნი, მთიდან ყვირილი ირმის!
სევდანარევი დუდუნი, მტკვრის მოუღლელი ტალღის,
ჯერმებში მდგარი ნახირი, დამპურებელი ხალხის!
სულ ტიტლიკანა ბავშვებით უბეავსილი მტკვარი,
ჩვენი პური და მარილი, ჩვენი შეშა და კვარი!
ნახირზე ადევნებული ხელში წიგნით და სახრით,
მამებზე ზღაპრებს ვყვებოდით სიამაყით და ლოცვით.
დედა? დედას სად ეცალა, მუჭა ქერს ყიდდა მოცვლით,
რომ დამშეული ჯალაბი–ომში წასულის დარდი
არ წაქცეოდა, დამცვროდა, არ შეერცხვინა ჩადრი!
დრო მტკვრის ჩქერივით მიჰქრის, მიაქვს ბავშვობის წლები,
თითქოს კი წამოვიზარდეთ, ურმებს ხელნამდე ვწვდებით,
მაგრამ... ჯერ ისევ ნახირი, მტკვრის ატეხილი ჭალა,
მჭადის პატარა ნატეხი, პირუტყვის ბნელი თავლა.
დრო მტკვრის ჩქერივით მიჰქრის, ტალღას ტალღაზე ახლის,
დაღამებულზე მდგმურივით შემოპარული სახლში,
ჩამქრალ ბუხართან ვიჩოქებ, ხელებს არავინ მითბობს,
სადღაც ფეხის ხმა გაისმის, მამისა იყო თითქოს...
ასეთი იყო ყოველთვის, ჩვენი თვე, წუთი, წამი,
უღელს გაბმული მოზვრები, ცხოვრების ვარამს ვხვრეპდით,
ბევრი დაეცა, წავიდა, გაჰქრა ვით დილის ნამი,
ყველანი ერთად ვიყავით იმ დიდი ომის მსხვერპლი!

ომის წლებში

რბონასთან ფაფარაყრილი,
კლდეებს შებღავის მტკვარი,
ბონდის ხიდს ყავლი გასვლია,
ქანაობს, როგორც მთვრალი.
იქვე მებორნის ხუხულა–
ერთი პატარა სარკმლით...
გვიანი მგზავრის იმედი,
ანათებს დღისით, ღამით.
გვერდით პატარა წისქვილი,
ღიღინებს, ფქვავს და წივის.
ნიავი სურნელოვანი-
სუნთქვა ფოთლის და წიწვის.
გაუთელავი ნამუსი
და ერთი მუჭა მინდი,
მებორნის დილის მამალი–
აისის თხელი ბინდი...
გადახვევია ხევხუვებს,
ცხრამუხასა და რბონას,
მტკვარი მაინც არ ისვენებს,
კვნესის, ოხრავს და ბორგავს.

შინმოუსვლელთა შვილები

ციმორივით გასხეპილი ბიჭები,
ომში გადახვეწილი ჯარისკაცის
შვილები,
ნაადრევად სვებედგადაჭრილები,
სანახევროდ ტიტვლები, სანახევროდ
მშივრები...
ვეწეოდით ობლის ბედუკუღმართ
ჭაპანს
და ყოველდღე ველოდით ომში წასულ
მამებს,
გავყურებდით დროის უსასრულო
ნაპირს,
ნეკა თითით ვითვლიდით წუთებსა და
წამებს.
დღე და ღამე მტკვრის რიყეზე ვეყარეთ,
ქატოს პური იყო ჩვენი საგზალი,
მზე რომ რბონის იქით ჩაფრინდებოდა,
ღამე იღრინებოდა, როგორც ავი ნაგაზი.
ასე იყო ყოველ დილა-საღამოს,
მტკვარი იყო ჩვენი დიასახლისი,
აღარ იყო გუთნისდედა, დოლის პურის
მთესველი
და ჟანგმოკიდებული, სადღაც ეგდო
მამის ძველი სახნისი.
ცხელ ქვიშაში ამომსკდარ წყალს
დიდი შვებით ვხვრეპდით,
ხმალი ხელში არ გვეჭირა, თუმცა
ყველა ვიყათ დიდი ომის მსხვერპლი!
ო, რამდენი დრო გასულა...
მახსოვს, ერთხელ მეც ვიყავი ჯარში,
ბევრი ვნახე ცუდიცა და კარგიც,
მაგრამ მაინც ობოლ ბიჭად დავრჩი!

1950 წელი

დედა

აგვარიდებდა ცრემლიან თვალებს,
ჩუმად დნებოდა გული წუხილით,
ჭაღარა გრძნობდა ომის სიჩუმეს,
ჩვენ არ გევსმოდა მისი ქუხილიც.
ქარი წიწკნდიდა ხავსიან ყავარს,
სახლში არ იყო თბილი ნაცარიც...
დედის ცრემლები აწვიმდა ჯალაბს,
მხოლოდ მან იცის ომი რაც არის!
და ვიზრდებოდით იმ წლებთან ერთად,
სიკვდილ-სიცოცხლეს ნაზიარები,
დღესაც მტკივა და დღესაც შემომრჩა
იმ დღეთა მწარე ნაიარევი!

1948 წელი

ჰოდა, ამიტომ გადავრჩით

ლუკმა არ მქონდა - მშიოდა,
ტანთ არა მეცვა -მციოდა,
ღუმელი იყო, სახლიდან
კვამლი არ ამოდიოდა!
დღე ღამეს ცვლიდა, ღამე დღეს
და დღენი ასე ვიდოდა,
დედა სახლის წინ იჯდა და
ცხარე ცრემლებით სტიროდა!
პატარა ბიჭი, სლიკინა,
დედის ცრემლებით კვირობდა,
ომი იყო და პატარამ
ჯერ არაფერი იცოდა!..
ომი იყო და დღე და ღამ
ტყვია და ფერფლი ცვიოდა,
მამა იქ, სადღაც ჭაობში
სანგარში იწვა და დაჭრილს
სული ხორცამდე სტკიოდა!
ომი იყო და მამულში
რკინის მერანი ჰკიოდა,
იყო სიბნელე, შიმშილი,
მზე მაინც ამოდიოდა!
სუყველას ერთად გვშიოდა,
სუყველას ერთად გვციოდა,
სუყველას ერთად გვტკიოდა,
ჰოდა, ამიტომ გადავრჩით,
მზეც მისთვის ამოდიოდა!

2006 წელი

ას წელს გელოდა...

ჭიშკართან ლაგამ მიბმული
შენი ქურანა ლაგამს ხრავს,
ლოდინმა ცრემლი დაშრიტა,
შინმოუსვლელო სადა ხარ!?
ას წელს გელოდა დღე და ღამ...
ომმა და ომის ქარცეცხლმა
მის მხრებზე გადიგრიალა,
დედა ცხოვრებამ დაღალა,
შენმა ლოდინმა კი არა!
აღარც მამაა, არც დედა
გადაიკრიფნენ ჩრდილებში,
მაგრამ ჯერ კიდევ არიან
შინმოუსვლელთა შვილები.

აგვაშორე

ომი იყო საშინელი,
დიდი განსაცდელი...
დედა უკვე აღარ არის,
აღარც მამას ველით!
მაგრამ მაინც გულში რაღაც
ცისკრის მადლი ანთია,
ვიცი, მცხეთის დიდ ტაძარში
მაცხოვარის კვართია...
დაგვიფარე ზენაარო,
გაგვინათე გზაკვალი,
აგვაშორე ომის ცეცხლი
მტარვალი და მზაკვარი!

2005 წელი

დედას

ხელის გულზე მოგიწვია კვერცხი,
დროს შენს თავზე კალოც მოულეწია,
საუკუნემ დაიჩოქა შენს კართან,
მაგრამ ეს დღე არვის მოულოცია?!

2005 წელი

ჩვენთან იყო ნეტავი!

ხან აფთარი იყავ – ოთარაანთ ქვრივი,
ხან კეთილი, როგორც დილის სხივი,
ხან მდიდარი იყავი, როგორც პურის ყანა,
ხან ღარიბი იყავი, როგორც ეს ქვეყანა!
ხან მებაღე იყავი, ხან კი გუთნის დედა,
დილით შენ გვათბობდი და
მერე ქარი ზენა!
მაგრამ მუდამ იყავი სულით გაუტეხავი,
როგორ გვიმძიმს უშენოდ, ჩვენთან
იყო ნეტავი?

დედის სული გამინათლე ღმერთო

ასი წელი მინათებდი გზა-კვალს,
სანამ იყავ გულში ცეცხლი მენთო,
ვერასოდეს გადავიხდი შენს ვალს,
დედის სული გამინათლე, ღმერთო!

ჩვენი მკვდარი შვილები

ჩაჰბღავიან საფლავებს,
შვილებმკვდარი დედები,
ცას სწყდებიან ეულად
დარჩენილი გედები!
სამაჩაბლოს მიწაზე
დაღოდავენ ჩრდილები,
მიწამიყრილ ორმოდან
ხელ-ფეხ ამოჩრილები,
დროშას აფრიალებენ
ჩვენი მკვდარი შვილები.

გადმოხედე ღმერთო!

ეს რა დღე გაგვითენდა,
ჩემო დედულეთო,
ჩემო საფიქრალო,
დარდო ერთადერთო!
ნუ ჩამიქრობ იმედებს,
გულში ცეცხლი ენთოს,
შენს საკუთარ სამფლობელოს
გადმოხედე ღმერთო!

2008 წელი

ვეფხვის დედაის ჯიშისა

ვეფხვის დედაის ჯიშისა,
მაჩაბელების ნიჭისა,
იყო აჩაბეთს დიაცი,
შემყურე ერთი ბიჭისა!
ისიც ცად აფრენილიყო,
თავისი ვერცხლის მერანით,
რომ განეგმირა მომხდური,
ორპირი, ქლესა, ვერაგი!
ივაჟკაცა და შემუსრა,
მიწას დაეცა მტარვალი,
–ეს ერთი, ჩემო დედიკო,
კიდევ იქნება მრავალი!
სთქვა და მესამეც მიწისკენ,
მიჰქრის სულ ტრიალ-ტრიალით,
–ეგეც ჩემს ანგარიშზეა–
დედი, ეგ ოხერტიალი!
მერე ცა მიწას დაეცა,
ცაში დაიწვა არწივი,
მდინარე თორთლა ადიდა,
დედის ცრემლების ნაწვიმით!

2009წელი

ძველქართველურად

ისევ დაბერავს ოქტომბრის ქარი,
ახმიანდება ხმალი და ქნარი,
აგუგუნდება ყველა ტაძარი,
აგიზგიზდება სულში ხანძარი!
წინ წაგვიძღვება ხმა დედოზარის,
ნუ გეშინიათ, ძმებო, სატანის,
ჩამოიშლება კლდე-ღრე დამზრალი,
დრო ჩამომდგარა ლელოს გატანის!
თუ არ მოიშლის ჩვევას თავისას
ჩრდილში შემძვრალი შავი ღამურა,
წინ ქართველებო –ხმალი და ქნარი
ძველქართველურად,
ძველქართველურად!

2010 წელი

****

სასაფლაო ობოლ სულთა სავანე,
სურნელება სანთლისა და ვარდის,
ბუღაურა დაკარგული ლეგენდა...
ისტორიის ალანებში ბარდნის!
სასაფლაო, ლურჯი იდუმალება
და სიცოცხლე დაშვებული ფარდა,
საბუათზე ავარდნილი ნისლი
სურამის ცას აღმა-დაღმა ხნავდა!
შენ იდექი, როგორც ბერი მუხა,
როგორც ცაში შეჭირხლული მთაწმინდა,
არც წვიმდა და არც ცა იცრემლებოდა,
შენს ფეხებთან მწუხარების ტბა
იდგა!
სამნი ვიყათ თეთრად შეფეთქილები,
ჩავსტიროდით სახლად ქცულ მიწას,
იმ საფლავში მარტო შვილი კი არა,
იმ საფლავში საქართველო იწვა!

„ეს რა შვილი გაგიზრდია, ეს რა შვილი გყოლია“

(იუზა გელაშვილს)

ასო-ასო, სტრიქონ-სტრიქონ,
ვჩხიბე ოქროს მარცვალი
და ვიპოვე მუზის მონა
და სიცოცხლის ვასალი.
ყველგან სევდა... და იმედი,
ფურცელ-ფურცელ რომ უბნობს,
ამდენ ტკივილს და ამდენ ცრემლს
გულმა როგორ გაუძლოს?!
შენი გონის ლაბირინთებს,
მუხლჩახრილი კარდაკარ,
ფრთხილად ჩავყე და ვიპოვე,
სულიწმინდა ანკარა.
იქ, მუზების საუფლოში,
გახსენ შენი სარკმელი,
რამდენი სთქვი, მაგრამ მაინც,
ბევრი დაგრჩა სათქმელი.
მტკვარს და რიონს დაჰფარფატებს
სევდიანი თოლია,
ეს რა შვილი გაგიზრდია,
ეს რა შვილი გყოლია?!
იცოცხლე და იამაყე
შენი ნინოს შვილობით,
მალე აფხაზეთისაკენ...
მშვიდობით!

რობერტ სუხიაშვილი

აწყურის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი ჩვენს ეპარქიაში ჩამობრძანდა

სურამისა და ხაშურის ეპარქიაში, ჩამობრძანებულ იქნა აწყურის ღვთისმშობლის ხატი. 14 მაისს–სურამის წმინდა გიორგის, ხოლო 15 მაისს– ხაშურის წმ. იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარში აღესრულა პარაკლისი.

„მზიური" -„ციცინათელა" -- ერთობლივი კონცერტი ხაშურში

15 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ხაშურის საქალაქო კულტურის ცენტრში, ლეგენდარულ ანსამბლ „მზიურის" და საესტრადო–ფოლკლორულ ანსამბლ „ციცინათელას" ერთობლივი კონცერტი გაიმართა. „მზიურთან"ერთად, ხაშურს სტუმრობდნენ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავჯდომარე–კახა ცაბაძე, მუსიკოსი–კობა კალანდაძე და ახალგაზრდა მომღერალი–ლიზა მებონია. კონცერტის დასასრულს, „ციცინათელას" ხელმძღვანელმა–გივი ლიჩელმა, მადლობა გადაუხადა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გურასპაშვილს, გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურს, კულტურის ცენტრების გაერთიანებას და ყველა იმ პირს, ვინც დახმარება და თანადგომა გაუწია აღნიშნული კონცერტის ორგანიზებაში.

სექტემბერში ვაყაში ახალი საბავშვო ბაღი ამოქმედდება

უკვე მეორე წელია ადგილობრივი ხელისუფლების პრიორიტეტს სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაცია-აშენება, საჭიროების ნივთებით აღჭურვა წარმოადგენს. მთლიანად, ან ნაწილობრივ აღდგა ქალაქისა და სოფლის არაერთი საბავშვო ბაღი. ვაყის საბავშვო ბაღი, ათეული წლებია დანგრეულია. არადა, აქ ორი სოფლის ვაყისა და აძვისის ბავშვთა კონტიგენტი ერთიანდება. რამდენიმე წლის წინ, მისი ამჟამინდელი მენეჯერის მაია ნინიაშვილის დამსახურებით, მხოლოდ 5 წლის ბავშვებს შეეძლოთ იმ საბავშვო ბაღში სიარული, რომელიც ვაყის საჯარო სკოლას იყენენ შეხიზნული. დღევანდელი ხელისუფლების და უკვე ა(ა)იპ "საბავშვო ბაღების გაერთიანების" აქტიური მუშაობით, ვაყას ახლადაშენებული, ორსართულიანი საბავშვო ბაღი აქვს, რომელიც 60-70 ბავშვზეა გათვლილი და რომლის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვაც ეტაპობრივად მიმდინარეობს. სექტემბერში ორ სოფელს თანამედროვე ტიპის, კომფორტული საბავშვო ბაღი ექნება და გაამართლებს ბავშვებისა და მშობლების მოლოდინს.

უახლოესი მეგობრები გივი ხვედელიძე, რობერტ სუხიაშვილი, იური ბეჟუაშვილი, გრედი თიკანაშვილი, მალხაზ ჭყოიძე, თამაზ ქიმერიძე, ჯემალ გელაშვილი, ალიოშა მჭედლიძე, იური ლომიძე, ვაჟა ძანაშვილი, იზო პაქსაშვილი, თამრიკო ჯაფარაშვილი, ლუიზა ცუცქირიძე, ნათელა ალბრეხტი, მზია კორკოტაძე (სახვაძე) თანაუგრძნობენ ჩუქა ნოზაძესა და ელზა მენაბდეს დედისა და დედამთილის

ქეთევან დევდარიანი-ნოზაძის გარდაცვალების გამო. D

30 წელი ხალხური სიმღერის სამსახურში

ზუსტად ამდენია ის წლები, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში ცნობილი ხელოვანის და ლოტბარის გიორგი (გოგი) შუბითიძის შემოქმედებით მოღვაწეობას ითვლის. დიდი გზა განვლო ბატონმა გიორგიმ ამ პერიოდში, რომელიც დატვირთული იყო სირთულეებითაც და მრავალი შემოქმედებითი სიხარულითაც. ყველაფერი კი 1986 წელს დაიწყო, როდესაც იგი რუისის სამუსიკო სკოლის ფოლკლორულ ანსამბლს ჩაუდგა სათავეში. ამის შემდეგ იყო ქარელის მამაკაცთა გუნდის, შემდეგ კი გორის საოპერო გუნდის ხელმძღვანელობა. 15 წლის წინ კი შექმნა ხალხური სიმღერების გუნდი „ქართლი", რომელსაც ჩვენს რეგიონში ყველა კარგად იცნობს. საოცარია, მაგრამ მან მოახერხა და გუნდი სურამის, ხაშურის, აგარისა და გორის ნიჭიერი ბავშვებისგან შექმნა. რა თქმა უნდა, მანძილით ასე დაშორებულ ბავშვებს ხშირად უჭირთ ერთად რეპეტიციების ჩატარება, მაგრამ სადაც ასეთი ენთუზიაზმია, სადაც ასეთი სიყვარულია ქართული ფოლკლორისადმი, იქ ყველაფერი შეიძლება და ხერხდება კიდეც. 70 ბავშვი სცენაზე, რომელთა უმრავლესობა, შესანიშნავად ფლობს ქართულ საკრავებს, მართლაც ულამაზესი სანახავია.

–რა თქმა უნდა, ამ ბავშვებისგან უმრავლესობა არც აპირებს მომღერლის კარიერა გააგრძელოს და, სიმართლე გითხრათ, ეს არცაა გასაკვირი, ეს არცაა ჩვენი მიზანი. ჩვენი მიზანია ეს ბავშვები ვაზიაროთ იმ საოცარ ფენომენს, რასაც ქართული ფოლკლორი ჰქვია, შევაყვაროთ ხალხური სიმღერები, რომელშიც ლამის მთელი ერის ისტორია ჩანს და თუ ეს მოვახერხეთ, ჩვენი მისიაც შესრულებული იქნება, რადგან, მჯერა, ამის შემდეგ ისინი კარგი ქართველები იქნებიან,– აღნიშნა ბატონმა გიორგიმ ჩვენთან საუბარში.

11 მაისს „ქართლი" ერთგვარი ანგარიშით წარსდგა სურამელი მაყურებლის წინაშე. რა თქმა უნდა, მთელი რეპერტუარის წარდგენა (50-ზე მეტი სიმღერა) ერთ საღამოს არ მოხერხდებოდა, მაგრამ მაყურებელი უაღრესად კმაყოფილი დარჩა ბავშვთა შემოქმედებით, რომელშიც ორი სიმღერა „საეკლესიო მრავალჟამიერი" და „აფხაზეთი" იმ საღამოს მწვერვალად ჟღერდა.

მსოფლიო ჩემპიონი ტეზრიდან

ახლახანს იტალიაში ქ. მილანში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი „MMA"-ში და გრეპლინგში. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ნაკრებმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც იყო სოფელ ტეზერის მკვიდრი, ხაშურის სასპორტო სკოლის აღზრდილი **გიორგი ტყემალაძე,** რომელმაც ორივე სახეობაში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და გახდა ორი ქამრის მფლობელი ,რაც პირველად მოხდა საქართველოს ისტორიაში. ვულოცავთ გიორგის ამ წარმატებებს

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

აქ ყველაფერი გაგაგიტყვებთ

D

ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, №22-ში, უკვე 4 წელია ფუნქციონირებს „კულინარი 2012“, რომელშიც ადგილზე დამზადებულ 30

დასახელების პროდუქციას შემოგთავაზებენ .

ჯერ კიდევ გარედან იქცევს ყურადღებას ეს ნათელი, სუფთა, კოპწია შენობა, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს ცენტრალური შესასვლელის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარეობს. შესვლისთანავე გაგაოცებთ აქ შექმნილი სისუფთავე, სიმყუდროვე, სიმშვიდე, მაქსიმალური კომფორტი და, რაც მთავარია, აქაური ნამზადის გემო, მრავალფეროვნება და ხარისხი.

არც ისე ვართ განებივრებული ისეთი ადგილებით, სადაც ყოველდღიურობით გადაღლილნი სულის სიმყუდროვეს ვიპოვით, სადაც თბილად

მიგვიღებენ, გაგვიღიმებენ, მოგვემსახურებიან, სადაც მიმზიდველ, მშვიდ, მყუდრო, სუფთა გარემოში დაივანებთ დამაშვრალნი. დანაყრდებით, გახალისდებით, სტუმარსაც მიიყვანთ, გაუმასპინძლდებით, დაბოლოს, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

სწორედ ასეთი გარემოა აქ და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს,სადაც მთელი ხაშურის მაჯისცემა იგრძნობა, აქაური სიმშვიდე და სიწყნარე იდეალური დასვენების საშუალებას იძლევა. აქ მართლაც სიამოვნებით წაიყვან სტუმარს, როცა ყველაზე მეტად გინდა, გამოიჩინო თავი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით.

კომპანია მთლიანად აღჭურვილია ცნობილი იტალიური ბრენდის დანადგარებით. აქ დასაქმებულია 10 ადამიანი. მომუშავე პერსონალს პროფესიების მიხედვით გავლილი აქვთ სტაჟირება.

პროდუქციის მომზადებაში იყენებენ უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს. მომხმარებელს უფლება აქვს, თვითონ იხილოს, დაესწროს, თუ როგორ მზადდება პროდუქცია შენობის ქვედა სართულზე. ყველაფერი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომაც აირჩია კომპანიამ სლოგანი „ყოველთვის გემრიელია“, რომელიც 100%-ით ამართლებს მისი საქმიანობის შედეგს. მომხმარებელმა იცის, რომ ყოველდღიურად ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის გარეცხვა, გასუფთავება, სტერილიზაცია. სწორედ ამიტომ „კულინარი 2012“-ის ხშირი სტუმრები არიან როგორც ქ. ხაშურის მოქალაქეები, ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ბევრი ცნობილი სახე.

ამ ადგილას!

ამ ადგილას!

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტ-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.